განკარგულება:**g-135. 135230902**
თარიღი:**31/03/2023**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (შენობების) საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლისა და საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის 2023 წლის 08 თებერვლის N100039552300140351 განცხადების საფუძველზე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა მესტიის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს, მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, შემდეგ საკადასტრო კოდებზე არსებული შენობა-ნაგებობები (ამბულატორიები):
1) 42.07.02.241 - ლენჯერის ადმინისტრაციული ერთეული, სოფ.ლემსია (ამბულატორიისთვის განკუთვნილი ფართი 132.27 კვ.მ);
2) 42.10.33.001 - ცხუმარის ადმინისტრაციული ერთეული, სოფ. სვიფი (ამბულატორიისთვის განკუთვნილი ფართი 76.2 კვ.მ)
უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით.

2. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54–ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ. ზუგდიდი რევაზ ლაღიძის ქ №12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი